# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
# სხდომის ოქმი
# N1

(გაერთიანებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 კომისიასთან)

2025 წელი; 31 ოქტომბერი; 11:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
მარიამ გრიგოლიშვილი
ცოტნე ჩიქვინიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ალექსანდრე ასათიანი
ზურაბ ჩიკვილაძე

მოწვეული პირები:

1. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილეობის (ვიცე-მერობის) კანდიდატი;
2. **ირაკლი ბენდელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;
3. **ანდრია ბასილაია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;
4. **კახა აბულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;
5. **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (ადმინისტრაციის უფროსი) კანდიდატი;
6. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
7. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
8. **დავით მალანია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
9. **ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;

10. **პაატა ტოგონიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
11. **გელა ჩივიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
12. **ირაკლი გვილავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
13. **ნიკოლოზ ჭონქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
14. **გიორგი აბუთიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;
15. **გოგი ჩიქოვანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) კანდიდატი;
16. **ლევან ყიფიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
17. **გაიოზ ვასაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
18. **ლაშა ცაგურია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
19. **აკაკი ხლაბუსტოვი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
20. **დავით კირკიტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
21. **კახა სამხარაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
22. **დავით მაქაცარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
23. **დავით გელოვანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
24. **ირაკლი ანდღულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
25. **ზესიკ კალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ზირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე დავით მალანიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლაშა ცაგურიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე აკაკი ხლაბუსტოვის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით გელოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ზესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.**

კომისიათა გაერთიანებული სხდომა გახსნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ, რომელიც მიესალმა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს კომისიათა წევრებს, მერის პირველი მოადგილის, მოადგილეების, მერიის სტრუქტურული ერთეულების - საქალაქო სამსახურებისა და რაიონების გამგეობების თანამდებობებზე დანიშვნისთვის წარმოდგენილ კანდიდატებს და მედიის წარმომადგენლებს.

**ნინო ვარდოსანიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VIII მოწვევის წევრებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა,** რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **საკრებულოსთვის სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირების წესით წარდგენის უფლება,** ამავე რეგლამენტით განსაზღვრული, უფლებამოსილი სუბიექტების გარდა, **აქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს. შესაბამისად, როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა,** აღნიშნული ინიცირების წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

**ამასთანავე, ნინო ვარდოსანიძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა,** რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, **თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას,** ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, **აგრეთვე განეკუთვნება, მითითებული ორგანული კანონით დადგენილი წესით, თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.** ამავე ორგანული კანონის 76-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობებზე ნიშნავს თბილისის მერი;** 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, **თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი,** ხოლო ამავე ორგანული კანონის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **რაიონის გამგებელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს ასევე თბილისის მერი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძეს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ

საკითხებზე კომისიათა მიერ კენჭისყრის დაწყებამდე, თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატების გაცნობა და სამომავლო მიზნების გაჟღერება.

ნინო ვარდოსანიძემ ვიცე-მერობის თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატს ასევე შესთავაზა, რომ მოხსენების შემდგომ, წარიმართოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, რის შემდგომაც, კომისიები იმსჯელებენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

გიორგი ტყემალაძემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VIII მოწვევის წევრებს მიულოცა უფლებამოსილების ცნობა, წარმატებები უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის აუცილებლად იქნება მჭიდრო თანამშრომლობა, რათა ერთობლივი ძალისხმევით იქნეს განხორციელებული ის პროექტები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე საარჩევნო პროგრამით იყო გათვალისწინებული.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მოსახლეობას იმისათვის, რომ მხარი დაუჭირეს „ქართული ოცნების" გუნდს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს. შემდგომ, მომხსენებელმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობა, შესაბამის თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები, ისაუბრა მათ პროფესიულ გამოცდილებაზე და წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს.

გიორგი ტყემალაძემ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებზეც იმუშავებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მომავალი ოთხი წლის განმავლობაში და პრიორიტეტული მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით.

გიორგი ტყემალაძემ ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნოდ დაანონსებულ მნიშვნელოვან პროექტებზე და აღნიშნა, რომ უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, მეტროს 111 ვაგონის განახლება დაიწყება 2026 წლის ბოლოდან. ასევე გამოცხადებულია ტრამვაის მშენებლობის ტენდერი საპროექტო სამუშაოებზე და დეკემბრის ბოლომდე გამოვლენილი იქნება ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ სამუშაოებს.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ საბაგიროების მიმართულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს ტექნიკურ დავალებაზე, უახლოეს მომავალში კი გამოცხადდება ტენდერი და შესაძლებელი იქნება საპროექტო სამუშაოების დაწყება.

გიორგი ტყემალაძემ დამატებით აღნიშნა, რომ დაგეგმილია, როგორც თბილისის მეტროს 12 სადგურის რეაბილიტაცია, ასევე მეტროს ორი ხაზის დაგრძელება, რომელიც საკმაოდ მასშტაბურ პროექტს წარმოადგენს და დედაქალაქის მთავრობა 2026 წლის მეორე ნახევარში მზად იქნება შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას ამ მიმართულებითაც.

გიორგი ტყემალაძემ ისაუბრა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე, რომელიც ეხება ავარიული სახლების გამოსყიდვის შესახებ ახალი წესის შემუშავებას და ითვალისწინებს 2026 წლიდან მესაკუთრეთა 100%-იანი თანხმობის შემთხვევაში, ავარიული სახლების გამოსყიდვას საბაზრო ღირებულების ოდენობით, რაც ერთი მხრივ, მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას, გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, ხოლო მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა, გააუმჯობესოს ავარიული ფონდი და გადაარჩინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები იმ პრინციპების დაცვით, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია, რაც უზრუნველყოფს, რომ არ დაირღვეს ისტორიული განაშენიანება და ურბანული ქსოვილი.

გიორგი ტყემალაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმატებით მიმდინარეობს ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა, ამ ეტაპზე 17 პროექტია მიმდინარე და სამომავლოდ კიდევ მრავალი განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

მოხსენების მიწურულს, გიორგი ტყემალაძემ ასევე ისაუბრა მომავალი წლისთვის დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და აღნიშნა, რომ 2026 წელს განხორციელდება რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდგომ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე ზარნაძემ დაინტერესება გამოხატა გლდანის რაიონში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბოლო გაჩერებების მოწყობასთან დაკავშირებით. კონსტანტინე ზარნაძის განმარტებით, გლდანის რაიონში მუნიციპალური ტრანსპორტისთვის ბოლო გაჩერებების მოწყობის პროექტები უკვე მომზადებულია და საჭიროა მათი ასახვა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა შალვა პერანიძემ აღნიშნა, რომ მის სამაჟორიტარო ოლქში (დიდი დიღომი, ვაშლიჯვარი, სოფელი დიღომი) დღემდე გამოწვევად რჩება საბავშვო ბაღების ნაკლებობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა და სურვილი გამოთქვა, ერთობლივი მუშაობით დროულად განხორციელდეს აღნიშნული პრობლემების მოგვარება. შალვა პერანიძემ აქვე დასძინა, რომ დიდი მოთხოვნაა ე.წ. „ბას ლაინების" დახაზვასთან დაკავშირებით და ასევე ითხოვა ვასო გოძიაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები გათვალისწინებულ იქნას მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ოგბაიძემ ითხოვა გლდანის რაიონში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაფართოების (მარშრუტების დამატების) და გრუნტის გზის კეთილმოწყობის (ასფალტის საფარის დაგების) საკითხების მოწესრიგება დედაქალაქის 2026 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ბექა ოდიშარიამ დაინტერესება გამოხატა ავარიული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, რა ხელშემწყობი და ხელისშემშლელი გარემოებები არსებობს იმისათვის, რომ უფრო ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდეს.

საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა გიორგი დოხტურიშვილმა დაინტერესება გამოხატა, ხომ არ იგეგმება რაიმე ცვლილება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, მესაკუთრეთა 100%-იანი თანხმობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ვინაიდან პრაქტიკაში არსებობს გარკვეული სირთულეები ამ მიმართულებით. გიორგი დოხტურიშვილმა ასევე დაინტერესება გამოხატა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ხომ არ იგეგმება დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზება მომავალი წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრმა ვახტანგ სურგულაძემ დაინტერესება გამოხატა, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, არის თუ არა კონკრეტული ღონისძიებები გაწერილი.

საკრებულოს წევრმა გურამ ნიკოლაშვილმა ყურადღება გაამახვილა რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციის საკითხზე და დასძინა, რომ აღნიშნული გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა იყოს სამაგალითო იმისათვის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მსგავსი მასშტაბური პროექტები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, შემდეგი განმარტებები იქნა გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილეობის კანდიდატის გიორგი ტყემალაძის მიერ:

- დიდ დიღომში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით, გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ 18-მეტრიანი ავტობუსები ეტაპობრივად ნაწილდება სხვადასხვა მარშრუტზე, მათ შორისაა N306 ავტობუსი, რომელიც დიდი დიღმის მიმართულებით იმოძრავებს და ამ კუთხით, გარკვეული შეღავათი ექნება დიდი დიღმის მოსახლეობას. ამასთანავე, გიორგი ტყემალაძის მითითებით, ტრამვაის პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დიდი დიღმის სატრანსპორტო კუთხით მოწესრიგების მიმართულებით;

- ავარიული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ფინანასური უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა; გარდა ამისა, მსგავსი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება განეკუთვნება განსაკუთრებულ სპეციფიურ მიმართულებას, რის გამოც ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისას გარკვეული პრობლემები წარმოიშვას. სწორედ ამ მიზეზის გამო, ხდება დაპრიორიტეტება და რეალური გეგმის განსაზღვრა, რომელიც იქნება შესრულებადი. ავარიული სახლების რეაბილიტაციისა და ჩანაცვლების პროგრამები არის ის მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელთა დაფინანსებაც მომავალში გაიზრდება, თუკი მოსახლეობის მხრიდან უფრო მაღალი ნდობა იქნება გაცხადებული;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში, 15 მილიონი ლარი დაიხარჯა ლიფტების რეაბილიტაციაზე რაიონების მიხედვით და იგეგმება აღნიშნული მაჩვენებლის გაორმაგება მომავალი წლისთვის;

- ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, მესაკუთრეთა 100%-იანი თანხმობის მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით, გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, განსახორციელებელი პროექტების მზარდი დინამიკა იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ მეტი ნდობა იქნება მოპოვებული მესაკუთრეთა მხრიდან. ამასთანავე, ვიცე-მერობის კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკუთრების უფლება არის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვერ მიიღებს რაიმე სახის გადაწყვეტილებას მესაკუთრეთა დავალდებულების კუთხით;

- ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულებულია 1 პროექტი ვარკეთილის მესამე მასივში, ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს 17 პროექტის განხორციელება, რომლებზეც მოპოვებულია მესაკუთრეთა 100%-იანი თანხმობები და რამდენიმე მათგანის შემთხვევაში უკვე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები. შედეგად, 1000-ზე მეტი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება ახალაშენებული, გარემონტებული საცხოვრებელი ფართებით.

გოძიაშვილის ქუჩის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით, ირაკლი ზენდელიანმა განმარტა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტით დაგეგმილია აღნიშნული ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

**კითხვა-პასუხის ფორმატის დასრულების შემდეგ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს გაწეული საქმიანობისთვის, იმ ხანგრძლივი შრომისთვის, რაც მის საკრებულოში ყოფნას უკავშირდება და წარმატებები უსურვა მას და თბილისის მთავრობის წარმოდგენილ კანდიდატებს.**

მოისმინეს:

1. **გიორგი ტყემალაძემ** გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნის საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. **გიორგი ტყემალაძემ** გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ზენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ზენდელიანის დანიშვნის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. **გიორგი ტყემალაძემ** გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონით

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. **გიორგი ტყემალაძემ** გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს:

**ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა** წარმოდგენილი განკარგულების პროექტში განკარგულების გამოცემის თარიღის (თვე) სწორად მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. **გიორგი ტყემალაძემ** გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს:

